„ვამტკიცებ"

საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაცია
---

4 ივნისი 2024 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სალიცენზიო შეჯიბრება სარეიტინგო ტურნირებისთვის 2012-2013 წლებში დაბადებულთა შორის (დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო)

2024 წელი
8-9 ივნისი
თბილისი - ზესტაფონი

I. შეჯიბრების მიზანი

- ძიუდოისტთა შერჩევა 2012-2013 წლებში დაბადებულთა სარეიტინგო ტურნირებისთვის;

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2012-2013 წელს დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები, რომელთაც არ მოუპოვებიათ სარეიტინგო ტურნირებში მონაწილეობის ლიცენზია. შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის აუცილებელია წინასწარი გამოცდების ჩაბარება ძიუდოს საწყისებში. გამოცდაჩაუბარებელი ძიუდოისტები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.
- სალიცენზიო შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის აუცილებელია მონაწილეს ჩარიცხული ჰქონდეს საწევრო გადასახადი 100 (ასი) ლარი საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საბანკო ანგარიშზე. რის შემდეგაც ძიუდოისტს უფლება ექნება მონაწილეობა მიიღოს ძიუდოს ფედერაციის მიერ წლის განმავლობაში ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში (შეჯიბრება, სემინარი, შეკრება, გამოცდა და სხვ.). დამატებითი ინფორმაცია დოკუმენტაციის სახით შეგიძლიათ იხილოთ დანართში.
- [დებულება საწევროს შესახებ]
  [კალენდარი]
  [საწევროს სარეგისტრაციო ფორმა]
  [საბანკო ანგარიში] - საქართველოს ბანკი.
  მიმღების დასახელება - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია.
  ბანკის კოდი - **BAGAGE22**
  მიმღების ანგარიშის ნომერი - **GE55BG0000000121179301**

IV. შეჯიბრების კენჭისყრა, ადგილი, დრო და რეგისტრაცია

- შეჯიბრება ჩატარდება 8-9 ივნისს - აღმოსავლეთ საქართველო – თბილისი, ძიუდოს აკადემია, ბელიაშვილის 38.
  8 ივნისს - დასავლეთ საქართველო – ზესტაფონი, რუსთაველის 8.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვების შემდეგ.
- ჩამოსვლის დღე ტურნირზე:
  თბილისი – 7 ივნისი, წასვლის დღე – 10 ივნისი.
  ზესტაფონი – 7 ივნისი, წასვლის დღე – 9 ივნისი.
  შეჯიბრების დასაწყისი: 10:00

რეგისტრაცია:

- ძიუდოისტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან (**http://gif.ge/geo/calendar/georgia**) სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. კოდი - 1234
- შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომელთა პირადი მწვრთნელებიც 2024 წლის 4 ივნისამდე ელექტრონულად შეავსებენ სარეგისტრაციო ფორმას.
- 5 ივნისს ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდება მონაწილეთა სია. მწვრთნელები ვალდებულნი არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოისტები და უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.
- რეგისტრაციის გარეშე ძიუდოისტები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 2 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე.
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 9 წონით კატეგორიაში:
- -30კგ, -34კგ, -38კგ, -42კგ, -46კგ, -50კგ, -55კგ, -60კგ, +60კგ;
  თბილისი
- 8 ივნისი -30კგ, -34კგ, -38კგ;
- 9 ივნისი: -42კგ -46კგ, -50კგ, -55კგ, -60კგ, +60კგ.
  ზესტაფონში ყველა წონის შეჯიბრება ჩატარდება 8 ივნისს.
- შეჯიბრებაში გამოვლინდებიან გამარჯვებულები და პრიზიორები.

VI. აწონვა

აწონვები ჩატარდება წონითი კატეგორიების მიხედვით შეჯიბრების წინა დღეს შეჯიბრების ჩატარების ადგილებზე.
არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათამდე;
ოფიციალური 17:00 – 18:00 საათამდე;

VII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:
აღმოსავლეთ საქართველო 577994407 ზურაბ უსუფაშვილი.
დასავლეთ საქართველო – 599925662 ზაზა მახათაძე.
ფინანსური საკითხები: 577994420 ინგა რაზმაძე, 558132632 ქეთი მიხელიძე.

P.S.

- ძიუდოისტებისთვის შეჯიბრებაზე აუცილებელია თეთრი და ლურჯი ფერის კიმონოს ქონა.
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- აკრძალულია ძიუდოისტებისთვის წონის კლება წონით კატეგორიაში მოსახვედრად. ძიუდოს ფედერაციის მხრიდან მკაცრად იქნება გაკონტროლებული მონაწილეთა წონები და შესაძლებელია კონტროლი შეჯიბრების მიმდინარეობის დროსაც. იმ მწვრთნელთა მიმართ, რომელთა ძიუდოისტებიც დაარღვევენ წონის კლების დებულებას, ფედერაცია გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი ათაბეგაშვილი